

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2016 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის” პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე 1679.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 190.30 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.04.51.050)) ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის” (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩვირდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ეკონომიკისა და
სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური

2800

ლანჩხუთი, მ.კოსტავას ქ. №37

ტელ: 593 25 71 11

N 440

12/04/2016

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
პირველ მოადგილეს ბატონ ნუგზარ ცინცაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ნუგზარ,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჭყონაგორაში მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.04.51.050) ამჟამად ზემოთ აღნიშნულ შენობაში ფუნქციონირებს საბავშვი ბაღი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროა ა(ა)იპ „ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრთან“ გაფორმდეს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსხურს სათანადო პროექტის მომზადება.

პატივისცემით,

გიორგი ფაცურია



სამსახურის უფროსი

ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
ბაგმეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 1687
19/04/2016

1687-09-2-201604191510



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე 1679.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 190.30 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.04.51.050)) ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო ცენტრისათვის“ (ს/ნ 233732565) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აღნიშნულ შენობაში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი და გადასაცემი უძრავი ქონება ა(ა)იპის ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, გიორგი ფაცურისას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ზაზა ურუშაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა